საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის | დრ. მთავარ კომიტეტის ორგანი

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი ივნისის 24
1921 წ.
№ 93
ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარნი და ღრმა მწუხარებაში მყოფნი, ძმა მიხეილ დედა: მატრიონა, მარიამი, რძალი რუსუდანი დოგიბედაშვილნი და წარმარე ისეს ასული და სიძე ამბროსი კობახიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს რომ უდროოდ გარდაცვალებულის — მანგლისში ჯარისკაცის

## ალექსანდრე (საშა) გოგიბედაშვილის

სულის მოსახსენებლად. ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი სოფ. ზემო-ხანდაკში სად. გრაკალთან ამა თვის ივნისის 24-ში (ახ. სტილით) წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი 12 ს. 1065

გულმოკლული მეუღლე ვერა ლონგინოზის ასული, დაობლებული შვილები ოთარი და ეთერი, დედა ეკატერინე, ძმები: ივანე, იოსები, ქაიხოსრო, და იერემიე ავალიშვილები ცოლშვილით, და ელენე მაჩაბლისა, სიდედრი მარიამ კავსაძისა ვაჟიშვილებით და რძლებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, ივნისის 26-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას

## ესტატე გიორგის ძის ავალიშვილის

სულის მოსახსენებლად.

ანა ივანეს ასული, სოფიო პეტრეს ასული და ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე ყიფიანები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ივნისის 26-ს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაუვიწყარის

## გიორგი ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 1066

ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 2574 სამკურნალო ფაკულტეტის ნინო ალექსის ასული თოფჩიშვილისა
დაკარგულია გთხოვთ გაუქმებული იყვეს № 2574. ნ. თოფჩიშვილი. 1067

ქართული კლუბი საზაფხულოში
შაბათს, ივნისის 25-ს პოეტი გიონ ხაგანელის

## საღამო

1

სიტყვა და ეკალაძისა

„ქართული პოეზია და სითამამე“

2

კონცერტი ორ განყოფილებად

ქალ-ვაჟთა გუნდი ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით შეასრულებენ ქართულ ეროვნულ სიმღერებს. განსაკუთრებით ამ საღამოსთვის მზადდება სიმღერა გიონ ხაგანელის II-რე წიგნიდან „უვნებო ღამე“.

3

ლიტერატურა

ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ქუჩიშვილი, იგ. ყიფიანი, ლ. მაჟაგარიანი, გ. ხაგანელი და სხვანი.
დასაწყისი 8 საათზე. 45

## ფურცლები

46.

ლტოლვილები.

ლტოლვილების საკითხი გადაიქცა მეტად თავსატეხ საკითხად. თვითმპყრობელობის დროს, კერენსკის დროს, მენშევიკების ბატონობისას და ეხლაც, ბოლშევიკების საქართველოში შეწყვეტილივ მოემართება გამოქცეულების ტალღა.

ჩვენ შევეჩვიეთ ყოველ უცხოელის ჯგუფის შემოსვლას ვუწოდოთ—„გამოქცეულები“. ნამდვილად კი აქ გამოქცეულებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ იმიგრანტებთან. ამ ჟამად საქართველოში ხდება ნამდვილი და ფორმალური იმიგრაცია და ამ იმიგრანტებს სრულიად უსამართლოდ გამოქცეულებს ვეძახით.

იმიგრაციას უმთავრესად ადგილი აქვს სომხეთიდან. საუცხოო | ურთას სომხეთთან ურთიერთობისას იძლევა რკ. გზის მატარებლის მოძრაობა. ერევნის მიმართულებით მატარებლები მიდის თითქმის ცარიელი, ერევნიდან ტფილისამდე კი მატარებლები გაჭედილია ხალხით.

ჩვეულებრივს პირობებში შეიძლება ამ მოვლენისათვის სხვა მხრივ მოგვევლო, მაგრამ დღეს ამ მოვლენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ტფილისი და მთელი საქართველო დიდ როლს თამაშობს წინა აზიის საქმეში, ამ საქმისათვის ჩვენში მცხოვრებთა და მომქმედთა რიცხვი მრავლდება, ეს იწვევს ამავე დროს ცხოვრების გაძვირებას და ეს პროცესი არ უნდა გართულდეს სრულიად შემთხვევითი ელემენტებით და მავნებელი იმიგრაციით.

მოდიან ტიტველნი, მშიერნი, ავადმყოფნი, უსაქმონი. ჩვენ მუშებისათვის ვერ მიგვიცია ლუკმა პური, არ გვაქვს წირმეება და ეს იმიგრაცია საშინელ მწვავე მდგომარეობას გვიქმნის.

არ არის დედამიწის ზურგზე არც ერთი ტიპის სახელმწიფო, რომელიც ასეთ იმიგრაციას არ ებრძოდეს. საბჭოთა რუსეთი ტყუილ-უბრალოდ ერთ კაცსაც არ იღებს, რუსეთში პირდაპირ შეუძლებელია სასტიკი რეგლამენტაციის გარეშე თუნდაც ერთი კაცის შესვლა ჩვენში კი ყოველივე ეს სრულიად უყურადღებოდ არის მიგდებული.

რაშია საქმე? რადგა ასეთი უმოქმედობა? ჩვენ ძალა არ შეგვწევს ერთი ზედმეტი მჭამელი ვიყოლიოთ. ჩვენი ბაზარი დაცლილია, უკიდურესი სიმცირე სანოვაგის, მეტის მეტად საშიშ მოვლენის წინაშე ვდგევართ. სიმშილი, ავადმყოფობა, გადამდები სნეულებანი—ვიმეორებთ—საშინელი დღეები მოგველის თუ სასწრაფოდ არ დავხურეთ სახელმწიფოს კარები.

არა მარტო ქალაქად, ასეთივე ამბებია სოფლად. მთელი ქართლი გაივსო ლტოლვილებით, ესახლებიან სამუდამოდ, იჭერენ სახნავ-სათეს მიწებს, გლეხები მოთქვამენ დიდ გაჭირვებას.

ვინ არ იცის თუ რაოდენი სიმცირეა ჩვენში მიწების. თვითმპყრობელობა ჩვენში ხელოვნურად ამრავლებდა უცხოელებს, ეს საშინელი იმპერიალისტური პოლიტიკის ნასახიც არ შეიძლება დღეს არსებობდეს

მთელი რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, იმერეთი იხრჩობა უმიწობით და ამავე დროს საქართველოს მიწა-ადგილი ნიავდება უგეგმოდ, უაზროთ, უსარგებლოდ.

ფ. მახარაძე მიწათმოქმედების კომისარიატს ამავე დროს. იგი მცოდნეა საქართველოს ეკონომიკისა. ჩვენ მოვითხოვთ ფილიპე მახარაძისაგან ამ დარგში გადაჭრილ პოლიტიკის წარმოებას და საქართველოს ღარიბ გლეხობას საქართველოს მამული გადაეცეს. ჩვენი ქვეყანა საკოლონიოდ ვერ გამოდგება.

ამ გვარად, ლტოლვილთა საკითხი ჩვენ წინ გვიყენებს: სურსათის პრობლემას, აგრარულ საკითხს, ეთნიურ მხარეს, ეპიდემიას.

დაუყონებლივ ზომები: იმიგრაციის სრული წოსპობა, უცხო ლტოლვილთა სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნება—სახელმწიფოს ინტერესები ამას მოითხოვენ კატეგორიულად.

თედო ღლონტი.

## ლტოლვილების საკითხისთვის

ჩვენ როცა საბჭოთა საქართველოს საზღვრების დროზე გამორკვევას მოვითხოვდით, ჩვენი სურვილი მარტო საქართველოს საზღვრებზე პიკეტების ნახვით არ იყო გამოწვეული, არამედ ჩვენ გვალაპარაკებდა შეგნება იმ სახიფათო მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის დღეს მუდამ უსაზღვრო სახელმწიფო. არ გასულა არც ორ კვირეს ამის შემდეგ და დღეს ჩვენთვის საგალალო გახდა ამ „უსაზღვრობის“ სამწუხარო შედეგი. საქართველოს ტერიტორია დღე დღეზე ივსება ლტოლვილი რუსებით და სომხებით. გუშინ „გრუზკავროსტამ“ გვაცნობა რომ „ზემკომს“ გადაუწყვეტია მიწა დაურიგოს ახალ ლტოლვილებს. რას ნიშნავს ეს? ვინ ვის ურიგებს ქართველი ხალხის ნაამაგარს? ნუ თუ ეს ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა?

საქართველოს მთავრობის მომავალ მუშაობის პროგრამაში ბუნებრივად უნდა შედიოდეს საკითხი ქართველი მოსახლეობის თანაბარი განაწილებისა საქართველოს ტერიტორიაზე. რაჭაში და სამეგრელოში ჩვენ უკვე მიწის რეზერვები აღარ მოგვეპოვება, სამაგიეროდ საქართველოს სამხრეთში და ყაზახ ბორჩალოში მოიძევა თავისუფალი მიწის ფონდი. საქართველოს ერს არ აკრავს ზღვა თავისუფალი იმიგრაციის გასაქანი მიდამოები, ემიგრაცია საქართველოს გარედ ეს მარტოოდენ ქართველი ერის ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული. აქ ჩვენ შეიძლება გართულებას და შეუძლებლობას წავაწყდეთ: ბოლოს ემიგრაცია ყოველი ერისთვის უბედურებაა და ეს ასეთივე უბედურება იქნება ქართველი ხალხისათვის.

ჩვენ ჯერაც არ გაგვისწორებია ის მუხანათური იმპერიალისტური კოლონიზაციური პოლიტიკის შედეგები, რომელსაც აწარმოებდნენ ბარიატინსკები და დაშკოვები. ამ ვაჟბატონებმა საქართველოს უნოყიერესი ნაწილი სამცხე საათაბაგო განზრახ დაასახლეს სომხებით და მალაკანებით. ამან აიძულა რაჭველობა და მეგრელობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნოვოროსიისკენ და ნალჩიკისკენ გადახვეწილიყვნენ ან ციმბირში ეძიათ ლუკმა პური.

დღეს საქართველოს საზღვრები ღიაა და ყოველი ლტოლვილი შემოდის, მთავრობის დაუკითხავად ჩვენს ტერიტორიაზე. ბოლოს ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ზემკომის დადგენილება მიწები დაურიგონ რუსის ლტოლვილებს. ამ მოვლენას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. დრო არის.

## მოსკოველი ქართველები

ამ ჟამად მოსკოვში კიდევ არის დარჩენილი ხუთი ათასამდე ქართველი. ვინც ყურადღებას აქცევდა მოსკოველი ქართველი. საზოგადოების ცხოვრებას, მან იცის, რომ იქ დაგროვილი იყო ბევრი კულტურული ძალები, საზოგადო მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობა და სხვა. მათ ქონდათ სამეცნიერო წრე და ეროვნული ორგანიზაციები, რომელნიც ყოველთვის სცდილობდენ გაეცნოთ საქართველოს სახე რუსეთის საზოგადოებისათვის. მეტი არ იქნება ამ ორგანიზაციებს ეხლაც შევეხოთ. მოსკოვის ქართველთა საზოგადოება უკვე მოქმედებდა 1907 წ. ალ. სუმბათაშვილის თავჯდომარეობით. აქვე კომპ. არაყიშვილის თავჯდომარეობით მოწყობილ იქმნა ქართული სამეცნიერო, სახელოვნო და სალიტერატურო საზოგადოება.

1914 წ. დაარსდა მოსკოვის ქართველთა სამეცნიერო საზოგადოება. როგორც მოსკოვის უნივერსიტეტში, აგრეთვე კომერციულ ინსტიტუტშიაც იყო სტუდენტობის წრეები: პირველში ილია ჭავჭავაძის, მეორეში აკაკი წერეთლის სახელობის.

მაგრამ თუ რევოლუციამდე ყველა ქართულ ორგანიზაციებს ქონდა წმინდა სამეცნიერო—სალიტერატურო ხასიათი რევოლუციის შემდეგ ისინი გაერთიანდნენ და მუშაობის გაფართოებით პოლიტიკურ საქმეებსაც ასრულებდენ. შესდგა მოსკოვის ქართველთა ეროვნული საზოგადოების წარმომადგენელთა საბჭო, რომელშიაც შედიოდა ყველა ზემოდასახელებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეს საბჭო არსებობდა ოქტომბრის გადატრიალებამდე. გადატრიალების, შემდეგ ქართველ მეომრების მიერ დაარსებულ იქმნა მხედართა კომისარიატი, რომლის არსებობა გამოდგა ძალიან ხანმოკლე. ის და მასთან ერთად საბჭოც მთავრობის განკარგულებით, მიკუტენ-საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოსკოვის ქართველთა საკრებო, მრავალრიცხოვან კრებაზე არჩეულ იქმნა ეროვნული კომიტეტი, რომელიც მარტამდე არსებობდა. როდესაც საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა მიხა ცხაკაია, მან ხსენებულ ორგანიზაციის რეგისტრაცია არ მოახდინა მაგრამ ეს ორგანიზაცია ასე თუ ისე მაინც არსებობს, პატივ. ინჟინერ იგ. თულაშვილის თავმჯდომარეობით.

საერთოდ გარდა მცირედის გამოკლებით მთელი რუსეთის მცხოვრებნი განიცდიან უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას, და მათ შორის განსაკუთრებით არა ადგილობრივნი ქართველობა, მაგრამ მათში ისე დიდია ეროვნული შეგნება, რომ დამშეულ ქართველ ტყვეების სასარგებლოდ ისინი მაინც ცდილობენ რეალური დახმარების გაწევას.

ივანოვ ვოზნესენსკში, ზუტირკაში, რიაზანში, კრასნოიარში და სხვა.—ეროვნული ორგანიზაციები არსებობს პეტროგრადშიაც, მაგრამ მასწორდეს არავითარი კავშირი არ აქვს მოსკოვის ქართველობასთან.

საქართველოს მისიას მოსკოვში, ეჭირა ბინა მზარეულების ქ. (პოვარსკოი). ეს ბინა მოწყობილი იყო იმ ავეჯით, რომელიც შეიყიდა ზუბალაშვილიდან საქ. მთავრობამ. ეხლა ახალმა მისიის ხელმძღვანელმა მიხა ცხაკაიამ შეუძლებლად მიიჩნია „ბურჟუაზიულ“ ბინაზე დარჩენა და ის გადაიტანა ორ ოთახში, სხვა ადგილას სადაც წინად მისიის თანამშრომლები ცხოვრობდენ. ძველი ბინა კი მთელი ავეჯით დაიჭირა ბელორუსიის წარმომადგენლობამ. ყოველ შემთხვევაში ქონება არ უნდა განიავდეს და ნამდვილ პატრონს დაუბრუნდეს.

ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი უმთავრესად მაშინ მოიგონებს საქართველოს, როდესაც მენშევიკური აჩრდილი თავს წამოყობს სადმე ყრილობებზე ან და პრესაში. ამას წინად მოსკოვის გაზეთებში ცნობა იყო, რომ ლატვიაში ჩავიდა ჩხეიძე და ნოე რამიშვილი, აქვე ცნობა იყო, რომ ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრი მოუწოდებდა ხალხს ბოლშევიკებთან სასტიკი ბრძოლისათვის, რადგან საქართველოს მთავრობის ლიდერობამ რესპუბლიკის თავისუფლება დაღუპვამდის მიიყვანაო. არ მივსცეთ კომუნისტებს გასაქანი, აი რა არის დღევანდელი ჩვენი ლოზუნგიო. ამ განცხადების საპასუხოდ, მიხამ პატარა წერილი გამოაქვეყნა სადაც არწმუნებდა ხსენებულ მინისტრს, რომ თქვენი დღეები დათვლილია და მსგავსად საქართველოისა ლატვიაშიც მალე საბჭოთა ხელისუფლება გაბატონდებაო.

ლადო მესხიშვილის ქალიშვილები რუსეთის სცენის თვალსაჩინო მსახიობნი ამ ჟამად მოსკოვიდან ოდესაში გაემგზავრენ. მათ სურთ საქართველოში, ჩამოსვლა და სცენაზე მუშაობა; თუმცა ქართული სუსტად იციან მაგრამ იმედი გამოსთქვეს, რომ სულ მალე შესძლებენ ქართულ სცენაზე თავისუფლად თამაშს. საჭიროა ჩვენის აზრით ქართულმა თეატრმა ანგარიში გაუწიოს ამ სურვილს და გვიან მაინც ლადოს ქალები ქართულ სცენას დაუბრუნონ. ეს კი შესაძლებელია და ჩვენი ღარიბი სცენისთვის დიდათ სასარგებლოა.

ალ. სუმბათაშვილი იუჟინი ეხლაც განაგრძობს მუშაობას მოსკოვის პატარა თეატრში. ის იქ დაიბადა როგორც

უდიდესი მსახიობი და სამშობლო საქართველოს სცენას ის დღეს არ ანათებს. მისი ოცდა ხუთი წლის იუბილეის დროს 1908 წ. ა. ვ. ამფითეატროვი სწერდა: уже в половине девяностых годов, можно пожалуй малый театр отставит от Южина но не Юужина от малого театра. Потому что Южин— его душа, его спасение, его движущая сила, его вдохновение и жизнь... რადგან—Южин становится нравственным центрам труппы, интелектом ея сложного организма. магнитом публики, Южин—первый актер малого театра не толко по ролям, но и по нравственному праву, по убеждению и симпатиам зрительного зала.

ასე ახასიათებს მას ა. ვ. ამფიტეატროვი, რასაკვირველია სწორედ ასეთი მრავალმხრივი და ძლიერი პიროვნება საჭიროა „ჩვენი დღემდის მოუწყობელ სცენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის, მაგრამ ხანდისხან სრულდება ხოლმე ბრძნული ხალხური ანდაზა: ყვავს არ ქონდა—ბუს გაქონდა... გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ ამფიტეატროვის აზრი გამართლდება და სანამ პატარა თეატრი მას „არ მოშორდება“ ალ. სუმბათაშვილი მასთან არის და იქნება.

ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით რუსეთის არხივებში 40 წლის განმავლობაში მომუშავე პროფ. ცაგარელს, კარგად მოეხსენება, რომ რუსეთში დღემდის დაცულია ქართული მრავალი ისტორიული ღირებულობის სიმდიდრენი. ამ საქმეზე საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი იყო პ. ინგოროყვა, მაგრამ დღემდის იქიდან მგონი ერთი წიგნაკიც არ ჩამოტანილა. და ეს იმ დროს როდესაც ჩვენი უნივერსიტეტი და ეროვნული მუზეუმი მეტის-მეტად საჭიროებს მას. ჩვენ ვიცით, რომ სომხეთის კულტურული საზოგადოება შეუდგა სომხური განძეულობის ტანას, რისთვისაც მთელი სახლი უჭირავს პეტრე-დიდის ქუჩაზე (№ 6) ჩვენ ვფიქრობთ, თუ უწინ საბჭოთა სოციალისტური რუსეთის მთავრობა, „ბურჟუაზიულ“ რესპუბლიკას რაიმე მოსაზრებით არ უბრუნებდა ამ განძეულობას, ეხლა ეს მდგომარეობა შეცვლილია და დღეს მაინც უნდა დაგვიბრუნდეს ის, რაც საქართველოს ეკუთვნის. საჭიროა ამაზე ხმა ამოიღოს სათანადო ორგანიზაციებმა, რევკომი კი ვალდებულია მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა ჩვენი კულტურული ადგილობრივი ძიებისათვის საჭირო აუცილებელი მასალები საქართველოში გადმოტანილი იქმნას დედა-ქალაქში...

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის ქართველ საზოგადოებაში უდიდესი სურვილია სამშობლოში დაბრუნებისა. ისინი აქამდისაც გადმოსახლდებოდნენ, მაგრამ ნივთების გადმოტანის საქმე ისე შეზღუდული იყო, რომ წამსვლელი მხოლოდ, ცარიელი ხელებით თუ მოხერხდა წამოსვლას. ეხლა მგონი ეს დაბრკოლებაც შეიძლება გადალახულად ჩაითვალოს და საჭიროა ყოველი დახმარება გაეწიოს რუსეთში გადახვეწილ ქართველობას. ამით ჩვენს ქვეყანას ნამდვილი მუშაკები მოემატება და ქართულ სახელმწიფოს, ქართულ ენას, ქართულ კულტურას შეგნებული და გულწრფელი დარაჯები ეყოლება.

მ. თუღუში.

## ახალი ამბები

— **ლიტერატურული საღამო ქართულ კლუბში.** შაბათს ივნისის 25 გაიმართება გიონ საგნელის საღამო 1) სიტყვა ია ეკალაძისა: ქართული პოეზია და სითამამე 2) კონცერტი ორი განყოფილებად ქალვაჟთა გუნდი ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით შეასრულებენ ქართულ ეროვნულ სიმღერებს. განსაკუთრებით ამ საღამოსთვის მზადდება სიმღერა გიონ საგნელის მეორე წიგნიდან „უვნებო დამე“ 3) ლიტერატურა გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი ბ. ქუჩიშვილი, იყ. ყიფიანი ლ. მიქავარიანი, გ. საგნელი და სხვანი დასაწყისი 8 საათზე.

— **კონსტანტინე გამსახურდიას მოხსენება.** დღეს პარასკევს ივნისის 24-ს საღამოს სრულ შვიდ საათზე კონსტ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „გოეთე, ნაპოლეონი, ციზე“ მოხსენება შესდგება ხელოვნების სასახლეში. სერგიევის ქ. ხოშტარიას სახლში. დასწრება ყველასათვის უფასოა.

— **საჯარო პაექრობა.** კვირას ივნისის 26 დილის 12 საათზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მოხდება საექიმო ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზედაც ასისტენტი მიხეილ წინამძღვრიშვილი დაიცავს სადისერტაციო შრომას „მასალები ხონდროიტინ-გოგირდ მჟავის ქიმიისა და შარდში ადმოჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს“.

ოფიციალურ ოპონენტებად იქმნებიან პროფესორები ვასილ მალენიუკი, ალ. ალადაშვილი და დოცენტი სპირიდონ ვირსალაძე. დასწრება შეუძლია ყველა მსურველს.

— **მსახიობი აბაშიძე.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა, მიიღო რა მხედველობაში დიდი დამსახურება და მოღვაწეობა სამშობლო ხელოვნების წინაშე მსახიობი ვ. აბაშიძისა და ამასთან მისი ხნოვანობა, 13 ივნისის სხდომაზე დაადგინა: წინადადება მისცეს სახალხო განათლების კომისარიატს აიყვანოს ვ. აბაშიძე სახელმწიფო სრულ ხარჯზე და იზრუნოს მისი ყოველ-მხრივ უზრუნველსაყოფად; მიეცეს წინადადება სახალხო სასურსათო კომისარიატს(კავკ) დააკმაყოფილოს ვ. აბაშიძე სურსათით და ტანისამოსით და ქალაქის რევკომს კი სასწრაფოთ მიუჩინოს მას ქალაქის ცენტრში ბინა.

— **მეტყავეთა კავშირში.** ადელხანოვის ყოფილ სააქციონერო საზოგადოების წარმოებათა კომიტეტმა დაადგინა დანიშნოს, კომისიაში უფრო ნაყოფიერ მუშაობისათვის პასუხის მგებელი ამხანაგი კომუნისტურ პარტიის სარაიონო ბიუროდან, რადგან მუშა ქალები ხშირათ ჩივიან, რომ ტანისამოსის სახელოსნოდან უსამართლოთ ანაწილებენ სამუშაოს ქალებსა და კაცებს შორის ფაბრიკის კომიტეტმა გადაწყვიტა გაათანასწოროს სამუშაოს განაწილების ნაწარმოები მუშა ქალებსა კაცებს შორის.

## რადიო

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლის გადახვლა ანგორაში.**

ბათომი. რ. ს. ფ. ს. რ. საინფორმაციო განყოფილება ტრაპეზუნდიდან რადიოთი გვატყობინებენ: რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი ოსმალეთში ამხ. ნაცარიძე მთელი მისიის შემადგენლობით გაემგზავრა სამსუნიდან ანგორაში ბერძნების სამხედრო ფლოტის მიერ შავ ზღვაზე სამხედრო მოქმედებათა დაწყების გამო.

**ბერძენთა ეკლესია ოსმალეთში.**

ბათომი. ბერძნების ეკლესიამ ანატოლიაში შექმნა ანატოლიის განსაკუთრებული საპატრიარქო.

**ბერძენ ოსმალეთის ფრონტი.**

ბათომი. მოელიან სერიოზულ ცვლილებას საბერძნეთის სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელთა შორის.

**ბერძენ ბოლგარელთა დამოკიდებულება.**

ბათომი. ბულგარეთის პარტიზანული ჯგუფი შეუმჩნევლად გადავიდნენ საზღვარზე და დაეცნენ უშიდში ბერძნებს, სადაც მოჰკლეს და დასჭრეს საბერძნეთის ჯარის კაცები.

**აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა.**

ბათომი. თანახმად გაზეთების ცნობისა ანტანტამ დაკარგა ყოველივე იმედი აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანობის გზით დაბოლოებისა. გადაწყვეტილია დააჩქარონ ბერძნების შეტევა ანატოლიის წინააღმდეგ.

**საფრანგეთი ოსმალეთის მფარველობს.**

ბათომი. თანახმად ჰავასის სააგენტოს ცნობისა საფრანგეთი უნდა გამოვიდეს მოკავშირეების წინაშე ოსმალეთის უფლებების დამცველად: ეს აიხსნება მით, რომ სასწრაფოთ უნდა იქნეს აღდგენილი მშვიდობიანობა აღმოსავლეთში.

**განცხადება გენერალ პილეხი**

ბათომი. ანგორიდან გვატყობინებენ, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა გენერალ პილლემ კონსტანტინოპოლში ანტანტის წარმომადგენელთა სხდომაზე განაცხადა: ბერძნების პოზიცია არის თავმოყვარეობის საკითხი ანტანტისათვის. პასუხის გაუცემლობა მოკავშირეთა ნოტაზე, ნეიტრალურ მხარის საკითხის შესახებ, უნდა ჩაითვალოს მოკავშირეთა შეურაცხყოფათ. გადასწყვიტეს გაუგზავნონ ნოტა კონსტანტინოპოლში მთელ საბერძნეთის წარმომადგენელს კოლეგის.

**მდგომარეობა საბერძნეთში**

ტრაპეზუნდი. გაზეთ „ისტილბალი“ გვაცნობებს, რომ საბერძნეთის მდგომარეობა თან და თან უარესდება. ათინის ქუჩებზე თანდათან ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ფულის კურსი განუწყვეტლივ ეცემა. იმავე ცნობით ანატოლიაში ბერძნების ფრონტი კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება. დეზერტირობა ძალიან გავრცელებულია, ერთად ერთი გამოსავლელი გზა ამ მდგომარეობიდან არის მთავრობის მთელი შემადგენლობის დაუყონებლივი გადადგომა.

**ქალის როლი მხოფლიო რევოლიუციაში.**

მსოფლიო რევოლიუციის პოლიტიკურ მოძრაობაში ქალი ქინება არა თუ მარტო მოწყალების დათ, ამ სიტყვის პოლიტიკურ მნიშვნელობით, არა თუ მარტო თანამგრძნობათ, არამედ რევოლიუციონურ ფრონტის პირდაპირ მონაწილეთ, ამიტომ გულის სიღრმიდან მივესალმები მუშა-ქალების მოძრაობას. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს. გაუმარჯოს მუშა ქალების საერთაშორისო მოძრაობას.

**პარმთთნეობენ თუ მშიშრობენ.**

ლონდონი. იაპონიის საელჩომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობამ, რომელსაც არ სურდა საქმის გართულება მთელი ძალ-ღონით სცდილობდა, რომ სემენოვი არ შეერთებოდა ვლადივოსტოკის მოძრაობის ბელადებს ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ. სემენოვმა ეს არ შეისმინა. ამიტომ იაპონიის ხელისუფლებამ უარი უთხრა მას დახმარებაზე და იარაღის დაყრა მოსთხოვეს. ამის გამო სემენოვი ნიკოლსკ-უსურისკში გაემგზავრა.

**კლარა ცეტკინის პასუხი.**

**საბჭოთა რუსეთის წითელი ლაშქარი მაგალითია დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის.**

კლარა ცეტკინი უპასუხებს ტროცკის: მთელი მსოფლიოს კომუნისტ ქალების სიღრმიდან უცხადებ მხურვალე სალამს ამხ. ტროცკის, წითელ ლაშქრის მეთაურსა და შემოქმედს,—იმ ლაშქრისა—რომელშიაც მოწინავე ჯარის კაცაც და უფროსიც გამსჭვალულნი არიან ერთი გრძნობით: სიკვდილი სჯობია მონობას, იმ წითელ ლაშქრისა, რომელშიაც მუშებთან ერთად იბრძოდა და კვდებოდა მუშა ქალიც, როგორც პოლიტიკური მუშაკი და წითელი და. დაე საბჭოთა რუსეთის წითელი ლაშქარი იყოს მაგალითი და ნიმუში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მომავალ წითელ ლაშქრისთვის.

## მ. ვორონცოვის ძაღლის ალაგის გამო

(დასასრული)

ვორონცოვის საიდუმლოს ოსტატურის პურით გამაძღარნი და ღვინით დამთვრალი ქართველები ზოგნი ისე მოიხიბლნენ და ისე გაცეცხლდნენ, რომ მათ ჩაენერგათ გულში ვორონცოვის მიპატიჟება თავიანთ სახლებში და მისთვის შესაფერი ნადიმის გამართვა.

ასეთი ნადიმების გამართვა ქართველებისათვის არ იყო კარგი, მაგრამ რას იზავდნენ, გონება აშუხებდათ და სირცხვილი და ამიტომაც ვარდებოდნენ ვალებში გირავდებოდნენ. სულით და ხორცითაც კი და ვორონცოვისთვის ნადიმს კი მართავდნენ. მარტოთ ვორონცოვი ხომ არ იქმნებოდა, სხვებიც უნდა მიეწვიათ ხოლმე და ყველას ესენი ხვდებოდნენ ისეთის ნადიმის გამართვით, რაც სამაგალითო უნდა ყოფილიყოს თვით ვორონცოვისთვის.

ზოგიერთი ქართველი ისე იყო შეპყრობილი ვორონცოვის პატივისცემისთვის, რომ ამ მთავარმართებელ ვორონცოვის მსგავსათ, თავის სახლში ბილიარდსაც კი სდგამდა, რომ იქმნება ნადიმზე წინეთ ვორონცოვმა ბილიარდი ითამაშოსო. იყო ასეთი შემთხვევებიც რომ ხანდისხან ვორონცოვმა ყარაიის ტყეებში სანადიროთ წასვლა იცოდა ამისთვის მას სახლში ძაღლები ჰყავნდა და ასე და ამ გვარად ზოგი ქართველი, ვორონცოვის სასახელოთ სახლში 50—60 ძაღლსაც ინახავდა.

ეს საქმეები რასაკვირველია ქართველებს იაფად არ უჯდებოდათ და უფალო ოჯახები დიდს ვალებში ვარდებოდნენ, ბოლოს ამ ვალებში მათ უძრავი და მოძრავი ქონებაც ესყიდებოდათ სულ იხერ ფასებში, რის ამბები ხშირათ ვორონცოვსაც ესმოდა.

ამიტომაც ვორონცოვმა ქართველების ასეთ დავალიანებას სიხარულის თვალით შეხედა და ქართველთ აუწყა ასე: თქვენ გაგიხსნით მამულების დასაგირავებელ პრიკაზს და თქვენ თქვენი მამულები იქ დააგირავეთ და მის მერე ვალს ნაწილ-ნაწილ გადაიხდით წლიურათ.

ქართველებს ასეთი საქმე და განზრახვა მთავრობის დიდათ მოწონდათ ვორონცოვმაც მოახერხა საქმე და პრიკაზიც მალე გაიხსნა. ქართველებს გაეხსნათ შვების სახსრის გზა.

ქართველებმა იწყეს პრიკაზში მამულების დაგირავება, აგირავებდა ყველა, ვისაც გაჭირება აქვნდა და არა გაჭირება, ერთის მხრით ყველა აგირავებდა მამულს, ვინც არ დააგირავებდა იმას ერთის მხრით ვორონცოვის რცხვენოდა, რომ მის გახსნილს სიკეთის პრიკაზში მე ჩემი მამული ვერ დავაგირავეო.

ასე და ამ გვარათ, ეს პრიკაზი ქართველი ერისათვის იყო მესამე ხაფანგი და ამიტომაც არ დარჩა არც ერთი ქართველი მემამულე, რომ მას თავის მამული ამ პრიკაზში არ დაეგირავებინა.

ბედშავნი რას შვრებოდნენ მერე? მამულს აგირავებდნენ ანაღებ ფულს ქეიფებსა და ლოთობაში ხარჯავდნენ, ხშირათ ვორონცოვს სანადიროთაცკი ჰპატიჟობდნენ ყარაიაზედ და ამ გვარათ ფლანგავდნენ თავიანთ დაგირავებულს მამულში აღებულ ფულს.

ამ ქეიფების დროს ქართველებმა ბევრი რომ დასადუპი საქმეები შეისწავლეს და ამათგანია შემდეგი ზნეები რის მოუთვლელობაც არ შეიძლება, ვინაითგან ყველა ამ ხასიათების შესწავლის მიზეზების მამამთავრათ პირდაპირ ვორონცოვი და ამისი ღვაწლი ითვლება.

1850 წლებში ქართველებმა ისწავლეს უზომოთ ნადიმების გამართვა.

ამ ნადიმებში ხარჯავდნენ თავიანთგან აღებულს ვალებს.

ლოთობდნენ უზომოთ და მერე მთვრალები ქუჩა ქუჩა დაიარებოდნენ დროშკებით და ფაიტონებით, ხან დიდრონი ექვსი დროშკა და ფაიტონი იყო დაკავებული, ერთ ფაიტონში მეზურნეები ისხდნენ, მეორეში საზანდრები და დანარჩენს ფაიტონებში მოლხინენი, უჩებში მოლხინენი, ზურნის და საზანდრის დაკვრით დაიარებოდნენ და ხშირათ ნადლოთავები მთელს ღამეს აბანოში ატარებდნენ დროს და აქაც კი ლოთობდნენ და ფლანგავდნენ. ეს რო ასე გახლდათ, ამას ასაბუთებს თვით პოეტი გრიგოლ ორბელიანიც ასე,—„აბნუ ვილახ აღხოვს აბანოში ლხინებით“.

მოვიყვანოთ კიდევ სხვა საბუთებს: დავალიანებულ ქართველებმა ისწავლეს „ყომარბაზობაც“. აქამდის თუ მათ იცოდნენ მარტოთ „ყმასის“ თამაშობა, ახლა ვორონცოვისაგან გაღებულის მოწყალებით ისწავლეს კარტის თამაში, ბილიარდისა, ბითური ცხრის და ბევრიც კიდეც სხვა ასეთების.

მამულში დაგირავებულს ფულს იგინი აგებდნენ ასეთ საქმეებში და ხშირათ ზოგი ერთნი ფულის გარდა ყმებსაც კი აგებდნენ, სახლკარს და მით რჩებოდნენ ცარიელები, ერთმა გ.—ი.ნმა ცოლიცკი წააგო კარტის თამაში. ამაზედ ამბობს პოეტი ვახტანგ ორბელიანი ასეთ სიტყვებს:

ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში წააგეს, ზოგი დავიდარაბაში, რაც რომ ებადათ ყველას. ასე და ამ გვარათ ქართველები თავიანთ მამულებში დაგირავებულს ფულებს ასე ფლანგავდნენ და ბოლოს ამ ვალებში პრიკაზიც ჰყიდა მათ უზარ-მაზარ მამულებს და ასე და ამ გვარათ ქართველები ერთ დროს ... ბოდა თავის მამაპაპეულ ... ... ლებიდამ, რომლის ... დასაწყისიც პირდაპირ ვორონცოვის შხამიანის პურმარილიდამ იწყება.

ამ დალუპვის მიზეზების დასაბუთებისათვის მოვიყვანოთ კიდევ შემდეგ ცნობებს, რაც საყურადღებოა ჩვენის ოჯახის დაღუპვის დასაწყისის ისტორიისათვის. ვორონცოვის პურმარილმა და სიკეთემ ქართველი ერი ისე დაიბრმავა რომ თვით გონიერი პოეტი გრიგოლ ორბელიანიცკი სახლში 120 ძაღლს ინახავდა, რა არის ვორონცოვს სცოდნიყო, რომ მას ეს მეძებარი ძაღლები ჰყვანდა სახლში და როცა ყარაიაზედ სანადიროთ წავიდოდა. მაშინ ამ ძაღლებთან წაიყვანდა.

ასევე გახლდათ მეორე პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ვისი პოეზიაც საქართველოს გლოვნით არის გარემოცული, თვით ესეც კი ვორონცოვის დროის მიბაძვით სახლში 50 მწევარ-მეძებარს ძაღლს ინახავდა და ამათ აჭმევდნენ რძეს და ბულკებს, რაშიაც უშველია იხარჯებოდა დიდი ფული. ეს დასაბუთებულია თვით ფაქტითაც.

ახლა უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თუ კი ვორონცოვის ოსტატურის ზეგავლენით, თვით ისეთი გონიერი პოეტებიც კი, როგორიც გახლდათ გრიგოლ ორბელიანი და ვახტანგ ორბელიანიც კი ასე იყვნენ დაჯაბნილნი და დაბნეულნი, მაშინ აბა უბირი ქართველი მემამულეები რაღა უნდა ყოფილიყვნენ, არაფერი.

ეს რომ ცხადი გახლავსთ და მართალი ამას ასაბუთებს ის ცხადი გარემოება, რომ ვორონცოვისაგან ნაქმნარ სიკეთისაგან ქართველი ერი ისე დაიბრმავა, ისე მოიხიბლა, რის საშუალებითაც წახდა და დაიღუპა ტფილის ქალაქში მთელი ქართველების მამულები. სულ დაისყიდა და იგი ხელში ჩაიგდეს სულ უცხო ტომის ვაჭრებმა. ქართველთა საქმე ისე მოეწყო ტფილისში, ქართველნი ისე დაქუცმაცდნენ და ისე გაქრა მათი ოჯახი, რომ ტფილისში ერთ დროის ქართველი ერის ხსენება თითქმის სამთლით საძებარი გახდა.

ყოველივე ამ უბედურების მოვლენა და დასაწყისი იწყება იმ ჩუმი მტრულის პურმარილიდან, რომელსაც ვორონცოვი ქართველის ერს უწევდა დიდის ოსტატობით.

ზ. ჭ.


რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

დაკარგა პირადობის მოწმობა მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულად გრიგორ გიორგის ძე გრიგორაშვილი. 1068

დაკარგა პიროვნების მოწმობა მიღებული ტფ. სახელ. უნივერსიტეტიდან ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ცინცაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 1064

კბილის ექიმა
აპოლონ ურუშაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხიდილიხა (914 წ 606
სქესობრივი უძლურება, ვენერიულ ხუხუნათა და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № ... 2. 38

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და ძველი მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081